№ 227

ჰარასკევი, 19 ოქტომბერი, 1901 წ.

1877–1901

# ივერია

ბაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12. . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11. . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10. . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9. . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8. . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7. . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

№ 227

პარასკევი, 19 ოქტომბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩაზ.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული თეატრი

კვირას, 21 ოქტომბერს 1901 წ.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა

I

შეცდომათა კლუბი

კომ. 3 მოქმედებად თხზ. ბალუცკისა, თარგ. დ. მესხისა.

II

მუნჭი

კომ. 2 მოქმედებად, გ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილი, კარგარელი, მდივანი, აფხაზიშვილი და გივიშვილი; ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, აწყურელი, გედევანოვი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი, სარჯველაძე და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. აბაშიძე

შემდეგი წარმოდგენა 25 ოქტომბერს; მზადდება „ვენეციელი ვაჭარი“ კომ. შექსპირისა. (3—6.—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი გივიაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

ექიმი-ქალი მ. ს. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ს. ა. ვოინო—ხირურგიული (სადოსტაქრო) ხუთშაბათობითა და შაბათობით—1—2 საათ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, $1^1/_2$—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ... აპეტიანცი. 1—$1^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—$7^1/_2$ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ზ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნმლოსი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო ,ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (6.)

## ახალი ამბავი

—

*** გამგეობის მეოთხე წევრის არჩევანის შესახებ ქალაქის საბჭოს დადგენილება საგუბერნიო მთავრობას შეუწყნარებია. არჩევანი სამშაბათს, 23 ოქტომბერს, არის დანიშნული.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ინჟენერი ვედენეევი დღეს, 19 ოქტომბერს, პეტერბურგს მიდის, რომ 1902 წლის რკინის გზის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვაში მონაწილეობა მიიღოს.

*** 23 ოქტომბერს იმიერ-კასპიის მხრიდგან ბაქოში სამხედრო მინისტრს მოელიან, რომელიც ბაღაჯარის გზით პეტერბურგს წავა.

*** ბაკურიანის რკინის გზის შტოზედ სამგზავრო და საქონლის მატარებლების წესიერი მიმოსვლა 22 ოქტომბრიდგან დაიწყება.

*** საგუბერნიო ხუროთ-მოძღვართა და საამშენებლო საქმის სხვა თანამდებობის კაცთა შესახებ ახალი დებულება შეუმუშავებიათ.

*** როგორც გუშინაცა გვქონდა მოკლედ მოხსენებული, მთავრობას ნება დაურთავს, რომ რეალურს სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულნი საცდელად ხუთის წლის განმავლობაში დაუბრკოლებლივ მიიღონ ხოლმე პეტერბურგის სამხედრო-სამკურნალო აკადემიაში, მაგრამ იმ პირობით, რომ შესვლის დროს ლათინური ენიდგან გიმნაზიების ოთხის კლასის კურსის ეგზა-

## ფელეტონი

—

სამეცნიერო მიმოხილვა.

**მცენარეული საჭმლით საზრდოობა (ვეგეტარიანობა) და მისი ღირსება-ნაკლულევანება.**

I.

ჩვენი ამ ქვეყნად არსებობა რომ უჭმელადა და უსმელად შეუძლებელია: მუდმივი კვება და საზრდოობა გვჭირია, თუ გვსურს ძალა მოქმედებისა არ გამოგველიოს და სიცოცხლის ათას გვარს დანიშნულებას გავუძღვეთ, სასიკვდილო, სამარადისო განსვენებას თავი არ მივცეთ, ეს თვითოეულმა ჩვენგანმა კარგად იცის, მაგრამ როგორი და რა რიგ შემზადებული საჭმელი უმჯობესია ჩვენის ორგანიზმისათვის, ამის ეს სხვა-და-სხვა ნაირად ესმის. უხსოვარ დროიდგან დღემდის კაცობრიობა სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა გვარი საჭმლით საზრდოობდა, იმის-და მიხედვით, რასაც ჩვეული, თუ გარემოება და ბუნება როგორ ხელს უწყობდა. დღესაც დედამიწის ზურგის ყველა მცხოვრებნი ერთნაირი საჭმლით არ იკვებებიან: ზოგს მომეტებულ ნაწილად ხორცეულის ჭამა უხდება, ზოგს მცენარეულისა, უმეტესობა-კი შერეული საჭმლითა საზრდოობს, მაგრამ რომელს მათგანს უნდა მივცეთ უპირატესობა, ეს დღესდღეობით თითქოს ჯერ კიდევ სადავო არის. ერთი ნაწილი კაცობრიობისა ხორცეულს საჭმელს ამჯობინებს, მეორე და უმეტესობა შერეულს, ხოლო მესამე—მცენარეულსა და ამ რიგად თვითოეული მათგანი სცდილობს, თუ-კი შეიძლება, არამც-თუ ცხოვრებაში მოუპოვოს მეტი ნდობა და ვასავალი, მეცნიერების მხრივაც ფეხი მოუმაგროს და დაამტკიცოს, რომ მხოლოდ ესა თუ ის გვარი საჭმელია უსაჭიროესი, მასაზრდოებელი, ადვილი მოსანელებელი. თუ სხვებმა არა, მცენარეულ საჭმლის მოტრფიალემომხრეებმა მაინც ასეთი მიმართულება მიიღეს ამ ბოლოს დროსა და სცდილობენ დაუმტკიცონ დანარჩენს კაცობრიობასა, რომ ხორცეულ საჭმელთან შედარებით მცენარეული ბევრად მარგებელი და უმჯობესია, ერთად-ერთი ბუნებითი საჭმელი ისტორიულად, უხსოვარ დროიდგან მცენარეულია. ამიტომაც ამ გარემოებას უნებურად მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს და სცდილობენ საქმის ნამდვილი ვითარება გამოიკვლიონ, საბოლოოდ დაადგინონ რამ რომელნი არიან მართალნი—ისინი, ვინ ხორცეულს საჭმელს აძლევენ უპირატესობას, მცენარეულის მომხრენი, თუ შერეული საჭმლისანი, რომელსაც დღეს განათლებულ კაცობრიობის უმეტესობა ამჯობინებს ერთსაცა და მეორესაცა.

საზრდოობა ადამიანისა, როგორც მოგეხსენებათ, ადამიანის ნებაზედა და გარდაწყვეტილებაზედ-კი არ არის დამოკიდებული, სოციალურსა და ბუნების კანონებზეა დამყარებული. თუ საქმეს ამ მხრივ შევხედავთ, ხორცეულსაცა და მცენარეულსაც, ორივეს ერთნაირად ბუნებითი საჭმელი დაერქმევა, რაკი ოდენ მივეჩვევით. აკი ამიტომაც ადამიანი ისტორიულად ხან ხორცეულის მჭამელი ყოფილა და ხან მცენარეულისა, იმის-და მიხედვით, თუ როდის როგორ შესთვისებია არსებობის პირობებს.

ყოველგვარს საჭმელს შეუძლიან განუვითაროს ადამიანს ფიზიკური და გონებრივი მხარე, მაგრამ დღემდის არ ყოფილა მაგალითი, რომ საუკეთესო იდეებისა და ცხოვრების შემქმნელი ყოფილიყოს ისეთი ერი, რომელიც მარტოოდენ ხორცეულითა ან მცენარეულით იკვებებოდეს; ამ მხრივ უპირატესობა შერეული საჭმლის მხმარებელს ერებსა აქვთ მინიჭებული.

მაიმუნი მაგვარი ადამიანის წინაპარი კაკლითა, სხვა-და-სხვა გვარი ტყის ნაყოფითა, კვერცხებითა, წვრილი ფრინველითა და მწერებით იკვებებოდა. ასრევე იკვებება დღეს მისი უკან ჩამორჩენილი შთამომავლობა და მთელი აფრიკისა და ამერიკის ველური ხალხი. მაგრამ ის, რაც ბევრს შეუთვისებია, ადამიანს შემდეგ, არსებობისათვის ბრძოლის დროს, ნელ-ნელა შეუცვლია და ხორცეულ საჭმლიდგან შერეულზედ გადასულა, ხოლო აქედგან მცენარეულზედ, როდესაც სამზარეულო ცოდნა შეუძენია და უსწავლია, როგორ უნდა მოეხარშა და მოემზადებინა სხვა-და-სხვა გვარი მცენარეული, რომ მისის კუჭისა და ნაწლევებისათვის ადვილი მოსანელებელი, ადვილი ასატანი ყოფილიყო.

რა მოეთხოვება საზოგადოდ საჭმელს, რომ სხეულის ზრდას, ზოგიერთა ორგანოების განახლებას ხელი შეუწყოს, მეხანიკური მუშაობა შეაძლებინოს? როგორც ამას პეტენგოფერი და ფოიტი (Voit) ანგარიშობენ, მოსვენების დროს საშუალო ხნის კაცისათვის საჭირო თურმე დღეში 137 გრამი ცილა, 72 გრ. ქონი, 352 გრ. ნახშირიანი, სახამებლიანი ნივთიერებანი, 28 გრ. მარილი და 2,600 კუბ. სანტ. წყალი. მუშაობის დროს აღნიშნული რაოდენობა ასრე იცვლება: 137 გრ. ცილა, 173 გრ. ქონი, 352 გრ. სახამებელი, 28 გრ. მარილი, 2,600 წყალი; მაშასადამე, ემატება მხოლოდ ქონს. ხორცის მჭამელი ადამიანი თუ ცხოველი ცილის მოკლებას ვერ უძლებს, კვდება; წყალი იმდენად არის საჭირო, რამდენადაც ეს სხვა-და-სხვა ქიმიურ რეაქციის დროს ორგანიზმისათვის აუცილებელია; მარილები (მაგ. უბრალო სამზარეულო მა-

მენი დაიჭირონ. თუ რომ შესვლის დროს ვერ მოახერხებენ ეგზამენის დაჭერას, მაშინ ნება ეძლევათ აკადემიაში იყვნენ, მაგრამ ერთის წლის შემდეგ უთუოდ ჩააბარონ ეგზამენი; წინააღმდეგს შემთხვევაში დათხოვნილნი იქმნებიანო. რეალურს სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულთ მომავალ წლიდგან მიიღებენო.

*** 22 აპრილს მომხდარ არეულობის დროს, როგორც მოგეხსენებათ, ტფილისის პოლიცმეისტერი ბ-ნი კოვალევი ცხენიდგან გადმოვარდა და მცირედ დაშავდა. როგორც „Тифлис...“ სწერს ახლა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ამისათვის 300 მან. ფული გადაუდვია, რომ ბ-ნმა კოვალევმა თავი მოირჩინოს.

*** როგორც გვატყობინებენ, ოკრიბელს (ქუთაისის მაზრაშია) გლეხს ვინმე ხვედელიანს გასანიავებელი მანქანა შეუძენია წელს და ახლო-მახლო სოფლებში ჩამოუვლია სამუშაოდ. გლეხები თურმე ყველგან დიდის სიამოვნებით ანიავებინებდნენ ხვედელიანს ამ მანქანით თავისს წლიურს სარჩოსა და გასამრჯელოში და მანქანის ქირად განიავებულ ქინახულის მეათედს აძლევდნენ. სახეირო და სამაგალითოდ წმინდად მომუშავე მანქანა გლეხებს ძლიერ თურმე მოსწონებიათ და უკვე რამდენსამე გარდაუწყვეტია მომავალის წლისათვის უთუოდ შეიძინონ, მაგრამ საიდგან, არა სცოდნიათ. თვითონ ხვედელიანს აღნიშნული მანქანა ხარკოვიდგან გამოუწერია, მაგრამ რად, ნეტა, როცა შეიძლებოდა აქაც ეშოვნათ გასასყიდი.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მატერიალურ სამსახურის უფროსი ინჟენერი ლენჩევსკი პეტერბურგს წავიდა. მის მოადგილეთ დარჩა თანაშემწე ა. ბ. ევანგულოვი.

*** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისათვის ტფილისის საბაღოსნო სკოლის მმართველის ადგილი 20-მდე კაცს უთხოვნია.

*** ფინანსთა სამინისტროსაგან ნებართვა მოუვიდა ტფილისის ქალაქის გამგეობას ქალაქის მესამე სესხის ობლიგაციების ახალის ნიმუშის დამზადებისა. სამინისტრომ აგრეთვე დაავალა სახელმწიფო ბანკის განყოფილებებს დროებითი კვიტანციები მისცენ იმ პირთ, რომელთაც ამ სესხის განაღდებული ობლიგაციები აქვთ, რომ დამზადების შემდეგ ახალი ობლიგაციების მიღების ნება ჰქონდეთ.

*** 17 ოქტომბრის სხდომაზედ კავკასიის მეღვინე მევენახეთა კრებამ მოიწონა საუფლისწულო უწყების ტფილისის სარდაფის გამგის გ. ი. გოგოლიანოვკის მოხსენება სეტყვასთან საბრძოლველ სადგურების გამართვის შესახებ.

*** 16 ოქტომბრის სხდომაზედ ქალაქის გამგეობამ გარდასწყვიტა დაუნიშნოს ჯამაგირად 50 მან იმას, რომელიც უნდა მოიწვიონ ახალ ხმოსანთა საარჩევნო სიების დასამზადებლად.

## ქუთაისის ქალაქის საბჭო.

—

15-ს ოქტომბერს

დღესაც ქალაქის საბჭოს ინჟენერის მიხაილოვის მიერ აღძრულ საგანზედ ჰქონდა მსჯელობა. ქალაქის მოურავმა მოკლედ მოახსენა საბჭოს ამ საგნის დღევანდელი მდგომარეობა, და შემდეგ წაკითხულ იქმნა მოხსენება კომისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა დაეთვალიერებინა მიხაილოვისაგან ნაჩვენები წყლის გამოსაყვანი ადგილები და თავისს მხრივ აერჩია უკეთესი პუნქტი, თუ მოიპოვებოდა სამის ვერსის მანძილზედ.

მოხსენებიდგან, რომელსაც ხელს აწერენ ქალაქის ტეხნიკოსი ბ-ნი ფონ-შულცი, მკურნალები: ნაზაროვი, თოფურია და ხეჩინოვი, სჩანს, რომ მიხაილოვის ამორჩეული ადგილი კომისიას არ მოსწონებია, რადგანაც ამ ალაგას ხალხია დასახლებული და სასაფლაოც ახლო მდებარეობს და ამის გამო წყლის გაუწმინდურება ადვილად შესაძლებელია.

კომისია თავისს მხრივ ურჩევს ქალაქს, რომ წყალი გამოყვანილ იქმნეს წერეთლის დუქნის გასწვრივ, ცოტათი ზევით, ჩრდილოეთისაკენ. აქ რიონი ორ დიდ ტოტად იყოფება და მოსალოდნელი არ არის, წყალი გაბინძურდეს. ეს ადგილი მესამე ვერსის ბოლოშია და წინათაც მოწონებული ყოფილა ქალაქის ინჟენერის ბ. გრიაზნოვისა და წინანდელი გამგეობისაგან, და თავისს დროზედ ამ საგნის შესაბამი მოხსენება და ადგილების გეგმაც შედგენილი ყოფილა. ქალაქის მოურავმა გამოაცხადა, რომ ქალაქის საქმეებში, სამწუხაროდ, არავითარი ქაღალდი და მოხსენება არ აღმოჩნდა, ხოლო პლანი გამგეობის წევრად ნამყოფის ბ-ნის ჩიმაკიძისაგან მივიღეთო.

ერთი ხმოსანი-კი ამტკიცებდა, რომ ქალაქს უფლება არა აქვს თავისს არჩეულს ადგილზედ მიხაილოვს წყალი გამოაყვანინოს, რადგანაც აღნიშნულს მანძილზედ ადგილის არჩევა მიხაილოვის უფლება არისო.

ქალაქის მოურავი და სხვა ხმოსნები-კი იმ აზრს დაადგნენ, რომ მიხაილოვი უნდა დაემორჩილოს ამ შემთხვევაში საბჭოს არჩევანს, რადგანაც პირობის I მუხლის ძალით ვალდებულია ქალაქს წმინდა და უვნებელი წყალი მიაწოდოსო.

ამის შემდეგ საბჭომ გადასწყვიტა უარჰყოს მიხაილოვის არჩეული ადგილი და, ნაზაროვის განცხადებისამებრ, მოელაპარაკოს მიხაილოვს, რომ იგი წყლის გამოყვანას კომისიის მიერ არჩეულ ადგილიდგან დასთანხმდეს.

## წიგნების ვაჭრობის საქმე

—

„ცნობის ფურცელში“ (ოქტომბრის 5 ნომერი) წავიკითხეთ ბ-ნ ჯორჯაძის წერილი „მთარგმნელ საზოგადოების“ დაარსებაზე. აზრი მშვენიერია და როგორ ასრულდება, ცალკე წრე იქნება, ამხანაგობა თუ საზოგადოება, ან შეეკედლება „წერა-კითხვის საზოგადოებას“ თუ გამომცემელ ამხანაგობას, მომავალი გვაჩვენებს. მე მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რაც ბევრჯელ ფიქრში გამივლია, როდესაც წიგნების გამოცემაზე ლაპარაკი ატეხილა.

დღევანდელ მდგომარეობაში, მართალია, ვერ ვიტყვით, ყოველ გვარი წიგნი გვეპოვებაო, მაგრამ მაინც არის საკმაო ნაბეჭდი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები. ხშირად წაგვიკითხავს და უფრო მეტად გვესმის, რომ წიგნები ნაკლებად სალდება ხალხში და საზოგადოებაშიო. წიგნების გამომცემლები სჩივიან, წლის წლობამდე აწყვია ბევრჯელ კარგი შინაარსის წიგნები და არ იყიდებაო. თუ წიგნები გავუგზავნეთ ტფილისიდამ სხვა ადგილებში წიგნის ვაჭრებს, ფულის მიღებას არაშველისრა. საქმე იქამდის მივიდა, რომ „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზია ნისიად, კომისსით აღარავის უგზავნის წიგნებსა და აწყვია მაღაზიაში უძრავად. გამომცემელი ამხანაგობა ტფილისისაც და ქუთაისისაც ჩივის, რომ ათი ათას მანეთზე მეტი წიგნები გაუყიდველი უწყვია. ამისთანა ჩივილის დროს ვიღაც ახპატელოვი ტფილისიდამ მუდამ წელს თავის გამოცემულ უხეირო წიგნებს გზავნიდა იარმუკებზე იმერეთსა, ქართლსა და კახეთში და ახლაც მისი მემკვიდრეები ასე სჩადიან, შოულობენ კაცს, აბარგებენ წიგნებით და ჰგზავნიან აქეთ-იქით.

რა სურათი გვეხატება? ის, რომ ბაზარი არის წიგნებისა და შნოიანი დაწესებულება ან კაცი არ გამოჩენილა, ბაზარში ჩაატანინოს. ჩვენი წერა-კითხვის საზოგადოებასაც, გამომცემელ ამხანაგობასაც ვერ მოუწყვია წიგნების ვაჭრობის საქმე, ულაგია წიგნები თავის სადგომში და ელის მყიდველის მოსვლას. წარმოიდგინეთ ამისთანა ამბავი, რომ რაფიელ ერისთავის დასაფლავების დღეს ტფილისში, ქაშვეთის საყდართან უთვალავის ხალხის შეკრების დროს არც წერა-კითხვის საზოგადოების და არც გამომცემელ ამხანაგობის გამოცემულ წიგნებს ვერ ნახავდით, თუმცა ორსავე დაწესებულებას საკუთარი გამოცემა აქვთ განსვენებულის ... თხზულებისა. ... მოჰკრავდით დღეაპაი ტარაბუა ბიჭს ხელში წიგნებით (ისიც პირველი ნაწილი თხზულებისა). ეს ტარაბუა ბიჭი იყო ჭეშმარიტი სურათი ჩვენებურ წიგნების ვაჭრობისა. იქ, სადაც ცქვიტი, მარჯვედ მორბენალი და ყიდვის წამახალისებელი სული უნდა ტრიალებდეს, მძინარა ბიჭი აბოტებდა ფეხებს და სთვლემდა. ჩვენ ტფილისის ქუჩაში გამოხვალთ, სადაც ხალხი ბევრია, ვერ ნახავთ წიგნების მტარებელს. ტფილისში რომ ასეა, რა უნდა იყოს გარეთ პროვინციის ქალაქებსა და სოფლებში?

რა ამბავია ევროპის ქვეყნებში? იქ, სადაც განათლებაც მეტია, სწავლაც მეტია, ყველა კაცი გაზეთს და წიგნებს ეტანება, იქ პირში ჩაჩეჩებენ ძალის-ძალად ქუჩაში, რესტორანში, მეიდანზე, ბირჟაზე, შინ სახლში წიგნებს, ალბომებს, გაზეთებს. იქ, სადაც პირში ჩაჩეჩება საჭირო არ არის, ეს საჭიროებად მიაჩნიათ და ჩვენ გაუნათლებელ ქვეყანაში კი ამას არ მიმხვდარვართ!

სულ ვწერთ და ვიძახით, გამოცემა წიგნებისა, თარგმნისა ან ორიგინალისა გვეჭირებაო. დიაღაც გვეჭირება. ვბეჭდავთ კიდეც, მაგრამ ნაბეჭდს ხომ გასაღება უნდა? ამაში ორი ინტერესია. ერთი, რომ რაც ღირსად მიგვაჩნია, ხალხში მოიფინოს, და, მეორეც, ხარჯს ხომ დაბრუნება უნდა, შრომას სასყიდელი. წიგნების გამოცემის დროს ვაჭრობის ანგარიში აუცილებელია, რადგანაც ფული, ხარჯი ულეველი წყარო არ არის; მას გაძლიერება ეჭირება და არა მოლევა და მოსპობა.

ვაჭრობის საქმე რომ კარგად იყოს მოწყობილი, დარწმუნებული ვართ, წიგნებიც კარგათ გასაღდებოდა, გამომცემელთა რიცხვიც მეტი იქნებოდა და რიგიან წიგნების გამოცემასაც გზა გაეხსნებოდა.

ამ ჟამად, უნდა დავრწმუნდეთ, მედუქნეებისა და წიგნის მაღაზიების იმედით წიგნის ვაჭრობა შეუ...

---

რილი) დამჟავებას უწყობენ ხელსა, ამათგან ფოსფორი (ცილაში მოიპოვება) ტვინის ყომრალი ნივთიერებისა და ნერვებისათვის არის საჭირო, არაორგანიული მარილები კიდევ, მაგალითად, ნახშირ-მჟავე კირი და კალცი ძვლებისათვის; უამათოდ ძვლები ვერ ვითარდებიან, რბილდებიან, ილევიან; რკინა სისხლისათვის: თუ შემოაკლდა, სხეული მჭლევდება, ილუპება; სახამებელი შაქრად, შაქარი გლიკოგენად, შემდეგ ქონად იქცევა; თუ რომ რომელიმე ამათგანი აკლია სხეულს, მაშინ ცილას უხდება დახვეწა. მცენარეული საჭმელი ხორცეულზედ ძნელი მოსანელებელია; ამიტომაც ბალახის მჭამელს ცხოველებს კბილებიც სხვა ნაირადა აქვთ მოწყობილი და ნაწლევებიც შედარებით ბევრად გრძელი აქვთ.

თუნდაც რომ წყალი და მარილები არ მოვიხსენიოთ, რომლებიც თითქმის ყველა საჭმელს საკმაოდა აქვს შერეული, საჭმელი უთუოდ უნდა შეიცავდეს: ცილას, ქონსა და სახამებელს. მაგრამ რომ უფრო გავაადვილოთ საქმე, —ამბობს თავისს წერილში ვეგეტარიანობის შესახებ („Вѣст. Общ. Гигіены, Судебн. и Прак. Медиц. № 4) პროფესსორი გუპპე (Hueppe), —შეიძლება ორი უკანასკნელი ნივთიერებაც—ქონი და სახამებელი—ნახშირიან ნივთიერებად დავსახოთ და, როგორც უაზოტო ნივთიერებათ, ამათ მეორე მხრივ დავუყენოთ ცილა, რომელიც აზოტს შეიცავსო. თუ რომ ამ რიგად მთელს საჭმელს ამ ორი ნივთიერებით გამოვხატავთ და გუპპეს მიერ მოყვანილი ცნობებით ვისარგებლებთ, გამოვა, რომ ესკიმოსები, რომლებიც თითქმის მთლად ხორცეული საჭმლით იკვებებიან, ჰხარჯავენ 1 ცილას 2, 9 სახამებელზედ; ზემო-ბავარიის გლეხები შერეულს საჭმელსა ხმარობენ და ჰხარჯავენ თურმე 1 ცილას 5, 3 სახამებელზედ; იაპონელები ბრინჯით იკვებებიან და 1 ცილაზედ 5, 3 სახამებელი მოსდით, ირლანდელებს 1: 10,6, ევროპელს ფეიქრებს 1: 9, მიუნხენელს ვეგეტარიანს ფოიტს 1: 11.

ამ რიგად საშუალო შერეული საჭმელიც ისეთსავე რაოდენობას (1:5,3) გვიჩვენებს, როგორსაც სრული მცენარეული საჭმელი იაპონელისა (1 : 5,3). სამაგიეროდ, თუ რომ ამ ზომიერებას გადაცილებულია მცენარეული, ჯანმრთელობაზედა და სამუშაო ძალაზედ დიდად მავნებლადა ჰმოქმედებს. ამის მშვენიერს მაგალითს წარმოადგენენ თუნდაც იგივე ირლანდელები, რომლებიც ახალგაზრდობაში და მოხუცობაში ნახშირიან ნივთიერებათა მოჭარბებულს ველარ უძლებენ და მრავლად იხოცებიან. ირლანდელებს-კი 1 ცილაზედ 10,6 ნახშირიანი ნივთიერება მოსდით. ასრევე იხოცებიან ამავე ხანში მორაველი ფეიქრები. საზოგადოდ, მოჭარბებულ ნახშირიან ნივთიერებათა მონელება საჭმელში შეუძლიანთ მხოლოდ იმათ, ვინც ამას პატარაობითვე მიჩვეულია და მძიმე მუშაობაში ატარებს სიცოცხლეს; მაგრამ უნდა ერიდოს მოხუცობის უძლურობასა.

მცენარეულით მსაზრდოვებელნი-კი, ანუ როგორც ამათ განათლებულნი ერნი უწოდებენ, ვეგეტარიანნი, სწორედ ამ გვარად იკვებებიან: თვითო ზომა ცილაზედ 9—10 და 11 ზომა სახამებელი მოსდით; მაშასადამე, ისეთსავე შიშში იმყოფებიან მუდამ, როგორც ირლანდელნი და მორაველი ფეიქრები.

მაგრამ საჭმელს მარტო ის დანიშნულება არა აქვს, რომ სხეულის მრთელობას ემსახუროს. საყურადღებოა ვიცოდეთ ისიც, რამოდენად დიდს ძალასა და ენერგიასა ჰბადებს იგი ორგანიზმშიო, —კითხულობს გუპპე და ამის დასასურათებლად საუცხოვო საბუთები მოჰყავს. გუპპეს სიტყვით, თუ რომ ამ ძალის საზომად იმ სიმძიმის რაოდენობას მივიღებთ, რომლის დაძლევაც ცხოველს შეუძლიან, მაშინ ვნახავთ, რომ არც ერთი ბალახის მჭამელი ცხოველი, არც ცხენი, არც ხარი, არც აქლემი, არც სპილო და არც ვირი ვერ შესძლებენ თავისის ტანის სიმძიმის ტვირთი ჰზიდონო, პირ-იქით, ლომს-კი, რომელიც ხორცეულით იკვებება, შეუძლიან თავისს ტოლა ხბო, დეკეული პირში ეჭიროს და კიდევ ორი ადლის სიმაღლე ღობეზედ გადახტეს.

სხვა ცხოველებზედ მაღლა ამ მხრივაც მაინც ისევ კაცი სდგას. როგორც გუპპესავე მიერ მოყვანილ ცნობებიდგანა სჩანს, ვიღაც Louis Cyr-ს 669,8 კილოს ან 41 ფუთის აწევა შესძლებია, Le... te-ს 660 კილოს გადატანა შესძლებია 15 ნაბიჯზედ, ერთს ტიროლელს 7 ფუთიანი ტვირთი 6 საათის განმავლობაში 1500 მეტრის სიმაღლეზედ აუტანია. საზოგადოდ ტვირთის ზიდვაში ადამიანს ვერ ერთი ცხოველი თურმე ვერ შეედრება.

ვეგეტარიანობისა ანუ მცენარეული საჭმლის მომხრეთ ერთ საბუთად თვისდა სასარგებლოდ ის გარემოება მოჰყავთ, რომ კუნთების მუშაობის დროს სხეულიდგან ნახშირ მჟავას გამოდენა მატულობს და არა სხეულის აზოტიან ნივთიერებათა. მაგრამ ავიწყდებათ ის გარემოება, რომ თვითონ ცილაც, რომელიც აზოტიან ნივთიერებად ითვლება, ნახევრად (50%) ნახშირ-მბადისაგან შესდგება და მეორეც, ტყუილია ის წარმოდგენა, ვითომ ნახშირ-მბადიანი საჭმლის ნივთიერებანი, ქონი და ნახშირიანი ნივთიერებანი, სხეულის უჯრედებს გარედ იწვოდნენ. ვიდრე რომელიმე ნივთიერება დაიწვოდეს, იგი ჯერ უთუოდ უჯრედებ...

ძლებელია. როდისმე იქნება წიგნის დუქნებმა შეიტყონ ვაჭრობის წესი. დღეს ესენი ჩარჩებსა გვანან, რომელთაც არც ანგარიში ეპიტნავებათ და ვალად არ მიაჩნიათ მიცემულ საქონლისათვის გასწორება. დღეს შესაძლებელი ერთი ღონეა: „წერა კითხვის საზოგადოებამ“ და გამომცემელმა ამხანაგობამ ან ერთად, ან ცალ-ცალკე მოაწყონ ეს საქმე. ჩემის აზრით, ჯერ პირველში ერთი კაცი მაინც უნდა იყოლიონ ტფილისათვის ჯამაგირით, კარგის, რიგიანის ჯამაგირით, შეგნებული, ცხვიტი კაცი. ჯამაგირის გარდა გაყიდულ წიგნებზე ცოტა პროცენტი მისცენ წასახალისებლად. როცა ეს გამოსცადონ, იშოვონ მეორე, მესამე კაცი პროვინციაში დასატარებლად.

საზოგადოდ ამ საგანზე მე მგონია დიდი ყურადღების მიქცევაა საჭირო. თორემ სულ იმას ვიძახით, ვბექდოთ წიგნებიო და იმას კი არ ვცდილობთ, რამე ღონისძიებაც ვიხმაროთ წიგნების მოფენისა და გასაღებისათვის. ვგონებთ, დროა ამაზედაც შრომა გავსწიოთ და არა მარტო ლაპარაკი გავმართოთ.

წერა-კითხვის საზოგადოებას ზოგჯერ თითო სკოლაზე წელიწადში 400-600 მან. და მეტიც ეხარჯება. წიგნების მოფენა, ვგონებთ, ერთს სკოლის შენახვად ღირდეს, თუ მეტად არა. ერთს დამტარებელ კაცს 400-600 მანეთზე ნაკლები მოუნდება, რადგან პროცენტებსაც აიღებს.

ამიტომ, რა კი კერძო წიგნების ვაჭრები ჯერ არა გვყავს, პირდა-პირი მოვალეობაა წერა-კითხვის საზოგადოებისა და გამომცემელ ამხანაგობისა ამ საქმეს ხელი მოჰკიდონ და უშველონ თავის საქმესაც და სარგებლობასაც.

პეტრე უმიკაშვილი

---

## მეღვინე-მევენახეთა კრება.

—

ოთხშაბათს, 17 ოქტომბერს, მეღვინე-მევენახეთა კრებაზე წაკითხულ იქმნა გ. ი. გოგოლიანოვსკის საყურადღებო მოხსენება სეტყვასთან საბრძოლველ საშუალებათა შესახებ. როგორც მოხსენებიდგან სჩანს, საზღვარ-გარეთ სეტყვასთან ბრძოლის საქმემ დიდი ნაბიჯი წასდგა წინ: ამ ჟამად ავსტრო-უნგრეთსა, იტალიასა და საფრანგეთში 20,000 მეტი სეტყვასთან საბრძოლველი სადგურია გამართული. ნაყოფი ასეთმა ბრძოლამ საუკეთესო გამოიღო.

უმეტეს ნაწილს იმ ადგილებში, სადაც მორტირებს ისვრიან, სეტყვის მაგივრად წვიმა მოდის ხოლმე. წელს კახეთის საუფლისწულო მამულშიაც სცადეს მორტირების საშუალებით სეტყვასთან ბრძოლა და დარწმუნდნენ ამ საშუალების სიკარგეს.

სოფ. ნაფარეულში საუფლისწულო უწყებას აქვს 153 დესიატინა ვენახი, რომელსაც სეტყვა ყოველ წლივ 69 ათას მანეთს ზარალს აძლევდა. წელს ეს ზარალი მორტირების წყალობით საუფლისწულო უწყებამ თავიდგან აიცდინა. 153 დესიატინა მამულის სივრცეზე დადგმულ იქმნა 12 მორტირი. თვითეულ მორტირას აქვს ორი საჟენი სიმაღლე, იმის გასატენად საჭიროა 24 მისხალი თოფის წამალი; მორტირი ღირს 12 თუმნად.

თვითვეულ დესიატინა მამულზე ხარჯი არ აღემატება 2. მ. 50 კ. მთელი წლის განმავლობაში. პირველად ს. ნაფარეულის მცხოვრებლებმა ეჭვის თვალით შეხედეს ამ ნაირ ბრძოლას და უსიამოვნებაც განაცხადეს, რომ საუფლისწულო მამულიდან ჩვენს მამულებზე გადმოსდევნიან სეტყვასაო. მართლაც, თითქო განგებ, ყველა ახლო-მახლოდ მდებარე მამულები დაისეტყვა, საუფლისწულო უწყების მამული კი გადარჩა ამას. ამ ჟამად კახეთში მემამულენი და გლეხები იმოდენად დარწმუნდნენ სეტყვასთან ბრძოლის საშუალების სინამდვილეს, რომ საუფლისწულო უწყების მოხელეს 100 მეტი თხოვნა მიუღია, გამოგვიწერე მორტირები და საზოგადოდ მოგვიწყე სეტყვასთან ბრძოლის საქმეო.

დასასრულ თავის მოხსენებაში ბ. გოგოლიანოსკიმ სასურველად სცნო სხვა-და-სხვა სოფლებში ამხანაგობების (სინდიკატის) დაარსება სეტყვასთან საბრძოლველად; და თანაც წარუდგინა კრებას სინდიკატის წესდების პროექტი, რომლის გარჩევამაც დიდი კამათი გამოიწვია დამსწრეთა შორის. ზოგნი ამტკიცებდნენ, რომ სავალდებულოდ უნდა გახდეს ყველასათვის სეტყვასთან ბრძოლის საქმეო, ზოგნი კი ამის წინაამდეგნი იყვნენ. კრებამ დაადგინა ურჩიოს მემამულეებს დააარსონ ამხანაგობანი საერთო ძალით სეტყვასთან საბრძოლველად მორტირების საშუალებით.

---

## უცხოეთი

—

**ჩინეთი.** „ლაფფანის სააგენტოს“ დეპეშით ატყობინებენ, რომ ამერიკის მთავრობას განუძრახავს კონცესსია მიიღოს ტიანძინში; მხოლოდ ეს კონცესსია ახალი არ იქნება; ეს ის კონცესსიაა, რომელიც 1896 წ. ამერიკამ უკან დაუბრუნა ჩინელებს, რადგანაც მაშინ ის საზარალო იყო. ეხლა მდგომარეობა შეიცვალა და ამერიკა ხელახლად სცდილობს ამ კონცესსიის მიღებას, რომელსაც მხოლოდ სავაჭრო ინტერესებისთვის გამოიყენებს.

**სამხრეთი აფრიკა.** ამ დღეებში კრიუგერს თათბირი ჰქონია ლეიდსა და 3-ს სამხრეთ-აფრიკის დეპუტატთან იმის შესახებ, თუ როგორი პასუხი უნდა გასცენ ბურებმა ინგლისელებს ტყვედ წაყვანილ ბურების სიკვდილით დასჯაზე. ბურთა წარმომადგენელნი დარწმუნებულნი არიან, რომ დიპლომატია არაფერს უშველით. ლეიდსის და 3-ის დეპუტატის აზრით, ბურებმა რეპრესსალიებს უნდა მიჰყონ ხელი და ისევე მოიქცნენ, როგორც ინგლისელები იქცევიან. კრიუგერი კი წინაამდეგია ამ აზრისა; მე არ მინდაო, სთქვა კრიუგერმა, ეს უიმისოდაც ბარბაროსული ბრძოლა უფრო ბარბაროსული შეიქმნესო.

— ცოცხალია თუ არა დევეტი, დანამდვილებით ამის შესახებ ევროპის საზოგადოებამ ჯერ არაფერი არ იცის. დევეტის ბედ-იღბლის შესახებ, აი რა დეპეშა მიუღია „რეიტერის სააგენტოს“ ბრიუსელიდამ 9 ოქტომბრის თარიღით: „ბურთა დელეგატებისაგან მიღებულს ოფიციალურს დეპეშებში აგვისტოს დასასრულში გაკვრით ლაპარაკი იყო ზაფხულისათვის განძრახულის კამპანიის შესახებ და, სხვათა შორის, ნათქვამი იყო, დევეტი ან ბოტას უნდა მიეშველოს ნატალში ან კაპის ახალშენის მეამბოხეებს დაეხმაროსო. ბურთა წრეებში ჰფიქრობენ, რომ დევეტმა უკანასკნელი გზა ამოირჩია, მით უმეტეს, რომ დევეტის ბოტასა და შტეინთან ერთად ყოფნის დროს (ივნისში) გადაწყვეტილი იყო, ამბოხება მოეხდინათ კაპში და მთავარ-სარდლობა დევეტისთვის მიენდოთ. ბურები ჰფიქრობენ, რომ დევეტი ეხლა ორანჟეს რესპუბლიკაშია და რომ იმასთან მოსალაპარაკებლად წავიდა იქ კრიუცინგერი, რომლის შესახებაც ამ ბოლოს დროს არაფერი ისმის“.

**ავსტრო-უნგრეთი.** პარლამენტში ჩეხების და გერმანელების შეტაკება იწყება. 10 ოქტომბერს ჩეხი სტრანსკი შეეკითხა სამინისტროს იმ ძალ-მომრეობის შესახებ, რომელიც ვითომც ეხმარათ ჩეხების წინააღმდეგ მორავიის ქალაქს ლიტოველში. პანგერმანელები წამ-დაუწუმ აჩერებდნენ სტრანსკის. პრეზიდენტმა ორი პანგერმანელი, ვოლფი და შტეინი, გააფთხილა წესიერების დარღვევის გამო. კერბერმა პასუხად სთქვა, სტრანსკი დამახინჯებულს ცნობებსა და ფაქტებზე ამყარებს თავის სიტყვას, ნამდვილად-კი ლიტოველში სულ წვრილმანი ამბავი მოხდა, რომელსაც 70 კრონის მეტი ზარალი არავისთვის მიუყენებია; სასამართლო ყველაფერს გამოარკვევს და დამნაშავეებს დასჯისო. მინისტრს მხარი მისცა პროგრესისტმა ელოვერტმა; ელოვერტის სიტყვის დროს შტეინი და კლოფაჩი კინაღამ ერთმანეთს არ ეცნენ საცემად. საკითხის გარკვევა შემდეგისთვის გადაიდო.

— გერმანელთა პროგრესისტების დასის მეთაურად ამოირჩიეს — ფუნკე, საერო დასისა დერშატტი.

**ინგლისი.** კონსერვატიულს გაზეთებში გამოცხადებულია სურვილი, რომ მეფე ედუარდმა აღადგინოს ძველი წესი და თითონ ითავმჯდომარეოს მინისტრთა საბჭოში. ამ წესს ის შედეგი მოჰყვება, რომ მეფეც ერთის რომელიმე პარტიის მომხრეთ გადაიქცევაო, ამბობენ სხვა გაზეთები.

**ჰოლლანდია.** ჰოლლანდიელებმა ინგლისის ჯავრის ამოსაყრელად ჯერ ბოიკოტის გამართვა დააპირეს, მაგრამ ბოიკოტი მაგდენს ვერაფერს დააკლებდა ინგლისს, თუმცა ინგლისიდამ ბლომად მოაქვთ საქონელი ჰოლლანდიელებს. ეხლა დაუდგენიათ, დაითანხმონ ზღვის ქალაქებში მომუშავე მუშები, რომ უარი სთქვან ინგლისის გემებიდამ საქონლის გადმოტანაზე. ამსტერდამსა და როტერდამში მუშები უკვე დასთანხმდნენ; ელოდებიან პასუხს სხვა ქალაქებიდამ.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრეფილი ამბები)

—

ცნობილ ორიენტალისტსა და პოეტს ანჟელო დე-გუბერნატის (იტალიელია) შეუდგენია ახალი დრამა ლექსად, ამ სახელით: „ბუდდა“. დრამა ხუთ მოქმედებადაა. პირველ მოქმედებაში კვდება ბუდდას დედა. ბუდდაზედ ეს გარემოება დიდად მოქმედობს. იგი პირველად უკვირდება ცხოვრებას და მალე რწმუნდება კიდეც, რომ ცხოვრება ამაოებასა და არარაობას წარმოადგენს. მეორე მოქმედება — ბუდდა ცოლს ირთავს და მხიარულ ცხოვრებას ეძლევა. მესამე მოქმედებაში ბუდდას გული უცრუვდება, იგი თავისს ქალაქიდგან გარბის. მეოთხე მოქმედება — ბუდდა უდაბნოშია, იგი მასწავლებელი და წინასწარმეტყველია; ცოლი და წინანდელი მეგობრები

---

უნდა შეითვისოს; ამიტომაც მცენარეული თუ ხორცეული ცილა უთუოდ ჯერ საგანგებოდ პროტოპლაზმად, ანუ უჯრედის ნივთიერებად უნდა გარდიქმნეს, ნახშირიანი ნივთიერება, მაგალ. სახამებელი, შაქრად იქცეს, ქონი დაიხვეწოს და სხვა-და-სხვა გვარ ქონის სიმჟავის სახით იქმნეს უჯრედების მიერ შეთვისებული. უამისოდ უხმარებლადვე უკან გამოაქვთ ტანიდგან, ან-და მომშხამველადა ჰმოქმედებენ.

საქმე აი, როგორ, არის: ცოცხალი მომქმედი ცილის თვითეული ნაწილაკი ორის ნახევრისაგან შესდგება; ერთი მათგანი აზოტს შეიცავს მტკიცედ, მეორე ადვილად გამოსადევნს ნახშირიანს ნივთიერებას. ცილის ეს აზოტიანი ნახევარი თითქმის მუდამ უცვლელადა რჩება და თავისუფალს ნახშირიანს ნივთიერებას ითვისებს ქონიდგანა და სახამებლიდგან, ხოლო დახარჯული ნახევარი ცილისა სითბოს შეძენასა ხმარდება. ამიტომაც აზოტიანი ნახევარი ცილის ნაწილაკისა უძვირფასესად, სიცოცხლის წყაროდ ითვლება და შეიძლება შეივსოს მხოლოდ საჭმლის ცილიდგანვე.

მაშასადამე, აქედგან რამდენადაც საჭმელში ნაკლები იქმნება ცილა, იმდენად სიცოცხლის ყველა მოვლენა გაძნელებული იქმნება, იმდენად მეტი ძალა უნდა დაიხარჯოს სხეულში, რომ ეს ნაკლებობა შეივსოს როგორმე.

არა ნაკლებ ნათლადა მტკიცდება მცენარეული საჭმლის სიღარიბე და გამოუსადეგრობა აგრეთვე მაშინ, როდესაც სხეულში მის მიერ გამოწვეულ სითბოს რაოდენობას (единицы калорій) შერეულ საჭმლის სითბოს რაოდენობას შევადარებთ. მცენარეული საჭმლით მცხოვრებ ირლანდიელ გლეხის 86 წმინდა კალორიდგან (სითბოს საზომია) თვითო კილო წონაზედ მხოლოდ 6% თურმე მოდის ცილაზედ, მაშინ როდესაც შერეულ საჭმლის დროს 39 კალორიდგან თითო კილოზედ ცილაზედ 14% თურმე მოდის. აქედგან ისა მტკიცდება, რომ მცენარეული საჭმლით მცხოვრებს მუშას შერეული საჭმლით მცხოვრებ მუშასთან შედარებით მეტი სითბო სჭირდება და ამიტომაც ერთ თავად უზომოდ გახურებულს მანქანას წააგავს, რომელსაც მუდამ შიში აქვს ძალა არ დაადგეს, არ იფეთქოს. ე. ი. ერთისა და იმავე სამუშაოსათვის შერეული საჭმლით მცხოვრებს გაცილებით ნაკლები ენერგიის დახარჯვა დასჭირდება, რადგანაც საკმაოდ მიღებული ცილა ამის ეკონომიას შესამჩნევლად ეწევა და მცენარეულით მცხოვრებს-კი ერთი ათად მეტი საჭმლის დაძლევა მოუხდება, რომ საჭირო ენერგია შეჰქმნას სითბოს სახით.

ეს საზოგადოდ მცენარეულისა და ხორცეულის ცილის შესახებ ერთად. ვნახოთ ახლა კერძოდ თვითოეულს რა ღირსება და ნაკლი აქვს. როგორც ცდიდგანა მტკიცდება, ხორცეულის ცილა მცენარეულისაზედ გაცილებით ადვილად შესათვისებელი თურმე და, მაშასადამე, აქედგან სასარგებლოც. მიზეზი ამ გარემოებისა უთუოდ მცენარეული ცილის უჯრედიანი ბადე უნდა ჩაითვალოს (клѣтчатка), რომელიც მოხარშვას, ადვილად მონელებას ხელს უშლის და, მაშასადამე, ველარც ისე ადვილად შესათვისებელია. ამიტომაც აზიელი, ჩვენებური ვეგეტარიანები ბრინჯს მუდამ ჩენჩოს აცლიან, მოსანელებლად აადვილებენ, თუმცა ამით თვითონ ცილის რაოდენობასაც ძლიერ ამცირებენ და ევროპიელები-კი პირდაპირ ქატოიანს პურსა ხმარობენ, რომელშიაც ცილა გაცილებით მეტია.

ევროპელი ვეგეტარიანების აზრით, ერთი უდიდესი ღირსება ამ გვარის ქატოიან პურისა ის არის, რომ უჯრედიანი ბადე თურმე ნაწლევებიდგან სხვა-და-სხვა საჭმელ ნივთიერებათა სწრაფად გამოდევნას ხელს უწყობს, მაგრამ ავიწყდებათო მასთანვე, შეჰნიშნავს გუპპე, რომ უსარგებლოდ იკარგება არა მარტო დიდ-ძალი საჭმელი, არამედ ნაწლევების ძლიერად აჩოჩქოლებისა გამო საჭმლის მომნელებელი წვენიც ბლომად გამოჰქონს უსარგებლოდ, რომელსაც თან სხეულისათვის საჭირო ცილა გამოაქვსო“.

ღირსებად უთვლიდნენ აგრეთვე იმას, ვითომ მცენარეული საჭმელი ადამიანს აკეთილშობილებდეს, ხასიათს ურბილებდეს, კეთილს გრძნობებს უნერგავდეს; ხორცეული საჭმელი მომშხამველი იყოს, გადამდებ ავადმყოფობათ ავრცელებდეს, საჭმლის მონელების დროს სხეულში შხამიანს ნივთიერებასა სტოვებდეს...

ამ ხრივაც მოტყუვდნენ მცენარეული საჭმლის მოტრფიალენი და დამტკიცდა, რომ ზოოლოგიურს ბაღებში ბალახით მცხოვრები მხეცები ცბიერობითა და სიმკაცრით, დაუნდობლობით ნამდვილს მტაცებლებს არ ჩამოუვარდებიან, მარტორქები და კამბეჩები ველურობის დროს ყველაზედ დაუნდობარნი და ვერაგები არიან; ინდოელი და ჩინელი მეკობრენი ყველა სხვა ყაჩაღებსა და ავ-კაცებზედ ულმობელნი და სასტიკნი არიან; ზოგიერთი შხამი, მაგალ. აბრინი და რიცინი მცენარეულს ცილაში მოიპოვება; შხამები: ნიკოტინი, მორფი, თრიაქი, კოკაინი, ხაშხაში მხოლოდ მცენარეებში მოიპოვებიან; მცენარეებივე ავრცელებენ ეგრედ წოდებულს, ძველად ცნობილს ბოროტს ფილენჯს (злая корча), პელაგრასა, რომელიც წამხდარი და დაზიანებული სიმინდით კვებას მოსდევს შედეგათ აღმოსავლეთ-აზიის ბერი-ბერისა და სხ. ერთი სიტყვით, ბევრი რამ მავნებელი და სასაყვედურო მოეძებნება.

Morosus.

იმის მიმდევრებად ხდებიან. მეხუთე მოქმედება—ბუდდას სიკვდილია.

***

გერმანიაში ეხლა დიდი ლაპარაკია სკოლებში სამოსწავლო წლის შეცვლის შესახებ. როგორც ვუწყით, ყველგან სამოსწავლო წელიწადი სექტემბერში იწყება და მაის-თიბათვეში თავდება. გერმანელნი თხოულობენ, რომ სამოსწავლო წელიწადი იანვარში დაიწყოს და დეკემბერში გათავდეს. ზაფხულის კანიკულები მაშინ შუა სამოსწავლო წელს მოჰყვება. დაბრუნებისას შეგირდები ხელ-ახლა განაგრძობენ სწავლას იმავე კლასში. უფროს კლასში გადაყვანა მოხდება წლის გასულს, დეკემბერში.

***

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ჰოლანდიის მუშებმა ინგლისელთა გემებზედ მუშაობა აღკვეთეს, რათა ამით აიძულონ ინგლისი და სამხრეთ აფრიკის ომზედ ხელი აალებინონ. ამ მუშათა მიერ გამოცემულ მანიფესტს ჰოლანდიაში ყველანი აღტაცებით მიჰგებებიან. თანამგრძნობნი მუშებს ბევრნი აღმოსჩენიან. სხვათა შორის, ჰოლანდიის სამხედრო უწყებაში მოსამსახურეთ გადაუწყვეტიათ დიდ ძალი ფული მოჰკრიფონ და ამ ფულით შემწეობა აღმოუჩინონ იმ მუშებს, რომელნიც ინგლისს ბოიკოტს გაუწევენ. ფულის შესაკრებად განსაკუთრებული კომიტეტი აურჩევიათ.

***

როგორც ინგლისური გაზეთები გადმოგვცემენ, ნიუ-ჯერსეის შტატს (ამერიკაშია) მთელი რვა დღე ახალგაზრდა, 22 წლის ქალი, აგნესა ჯილი განაგებდა, რომელსაც ეხლა „გუბერნატორს ჯილს“ ეძახიან. ამ რამდენისამე ხნის წინად, როდესაც შტატის გუბერნატორი ბუფფალოში წასულა გამოფენაზედ, იმისი მოადგილე უეცრად ავად გამხდარა და შტატის მართვა-გამგეობის საქმეს შესდგომია ჯილი, რომელსაც მთავრობის სტენოგრაფის თანამდებობა უჭირავს. ჯილი უძღვებოდა უმაღლეს მოხელეებთან მიწერ-მოწერის საქმეს, იმის ხელთ იყო სახელმწიფო ბეჭედი. ერთხელ მეზობელ შტატის მთავრობას ერთის დამნაშავის გაცემაც-კი მოსთხოვა. რვა დღის განმავლობაში ყველა სახელმწიფო საქმეს ის განაგებდა. „გუბერნატორი“ ჯილს აი ამის შემდეგ დაერქვა.

***

როგორც ვუწყით, სანტოს-დიუმონმა თავის ჰაეროსტატით შემოუარა ეიფელის კოშკს. დანიშნულ ვადაზედ მხოლოდ 40 წამით დააგვიანდა. ხალხი აღტაცებით მიეგება დაბრუნებისას სანტოს-დიუმონს. კომისიაში, რომელმაც დეიჩის პრემია უნდა მიუსაჯოს, დიდი ლაპარიკი ასტყდა თურმე. ზოგი ამტკიცებდა, რომ პრემია (100 ათასი ფრანკი) დიუმონს ეკუთვნისო, ზოგი კიდევ წინააღმდეგი იყო. თვით დეიჩს პრემიის ღირსად უცვნია დიუმონი. დიდი წინააღმდეგი ყოფილა კომისიის თავმჯდომარე გრაფი დიანი. დიანმა იქვე განაცხადა, რომ პრემია დიუმონს არ ეკუთვნის, რადგანაც 40 წამით დაიგვიანაო. დიუმონმა სურვილი განაცხადა მაშინვე ხელ-ახლა გაფრენისა. მაგრამ ხალხი დიდი წინააღმდეგი გაუხდა: „არ შეიძლება! პრემია თქვენიაო!“ ჰყვიროდნენ ყოველის მხრიდგან. პრემიის საქმე ჯერაც არ გადაუწყვეტიათ. როგორც გაზეთები სწერენ, ეს პრემია სანტოს-დიუმონს არ ასცდება.

---

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

17 ოქტომბერი.

**პეტერბურგი**. 17 ოქტომბერს დაბრუნდა პეტერბურგში შინაგან საქმეთა მინისტრი. 17 ოქტომბერს, იმპერატორის ალექსანდრე III, ხელმწიფე იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულის და უავგუსტოესის სახლობის ღვთის განგებით გადარჩენის შემდეგ 13 წლის შესრულების დღეს, ისააკის საკრებულო ტაძარში გადახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი, რომლებსაც დაესწრენ დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე და ჰერცოგები გიორგი გიორგის ძე და მიხეილ გიორგის ძე მეკლენბურგ სტრელეცკები.

ვილნოს, ნოვგოროდს, კალუგას, ლოდძს და კოვნოში, როგორც იქიდამ იუწყებიან, წირვა და პარაკლისი გადაუხდიათ მოხელეთა და დიდძალი ხალხის თანადასწრებით ღვთის განგებით სამეფო სახლის გადარჩენის მოსაგონებლად 17 ოქტომბერს 1888 წლისა ბორკაში.

**სტოკჰოლმი**. „Alfonbladet“-ის სიტყვით, ხელ-ახლა აღიძრა საკითხი სამედიატორო სასამართლოს გამოხელიშეკრულების შესახებ; ეს საკითხი ჰააგის კონფერენციის გადაწყვეტილების შემდეგ გადადებულ იქმნა. ეხლა ნორვეგიის მინისტრმა ბრელმა, მიიღო რა შვეცია-ნორვეგიის მინისტრის, ლეგერგეიმის, თანხმობა ამ საგნის განხილვის შესახებ, ხელ-ახლად წამოაყენა ეს საკითხი სტორტინგში.

**ლონდონი**. „რეიტერის სააგენტო“-ს უტყუარის წყაროდამ შეუტყვია, რომ მართალი არა ყოფილა ის ცნობა, ვითომც მეფე ედუარდისთვის სან-რემოში ვილლა ყოფილიყოს დაქირავებული.

**პარიჟი**. 15 ოქტომბერს გაიხსნა მუნიციპალურის საბჭოს სესსია. პრეზიდენტმა დოსსემ წაიკითხა თავადის ურუსოვის წერილი, რომლითაც რუსეთის ელჩი იუწყება, რომ იმპერატორმა და იმპერატრიცამ დიდის სიამოვნებით მიიღეს ადრესი პარიჟის მუნიციპალიტეტისა. საბჭოს პრეზიდენტმა განაცხადა, ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს იმით, რომ ხელმწიფის გრძნობები პარიჟის მიმართ კეთილგანწყობილი ყოფილია ეხლაცო.

**ლონდონი**. „Times“-ს ატყობინებენ შანხაიდამ: გამოურკვეველია ის პირობები, რომლებიც საფუძვლად დაედო მომზადებას სამშვიდობო მოლაპარაკების ოქმების ასასრულებლად; არც საბაჟო დაწესებულებში, არც საელჩოებში არ მოიპოვება უტყუარი პირი ფრანგულის და ჩინურის ტექსტებისა. ვაჭრებისაგან შემდგარი კომიტეტი ამზადებს ტარიფს ბაჟების გადასახდელად. იმედი აქვთ, რომ ეს ტარიფი მიღებულ იქმნება საბაჟოებში და საელჩოებში 29 ოქტომბრამდე. იაპონელები სხვა საკითხავებსაც აყენებენ გადასაწყვეტად: უნდა გადახდეთ თუ არა გაძლიერებული ბაჟები გასაზიდ საქონელზე იმის მიუხედავად, რომ ოქმში მხოლოდ ზღვით შემოტანილს საქონელზე იყოს ნალაპარაკევი. ის ხმა, რომ ელჩები ამ საკითხის შესახებ ერთი მეორის თანახმანი არ არიან, თანდა-თან უფრო სარწმუნოდ მიაჩნიათ.

**ვაშინგტონი**. სოფიიდამ და კონსტანტინეპოლიდამ შეატყობინეს გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ მისს სტონთან ეხლა მიწერ-მოწერა და მოლაპარაკება შესაძლებელია.

**ბუდაპეშტი**. „Pester Lloyd“-ი სწერს: „დღეს ჩვენი სატახტო ქალაქი უმაღლესს სტუმარს ეგებება: დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე მობრძანდება ჩვენის მონარქიის სანახავად. ჩვენ ამ ამბავს არ ვაწერთ რაიმე განსაკუთრებულს პოლიტიკურს მნიშვნელობას, მაგრამ ეს მაინც ახალი დამტკიცებაა რუსეთისა და ავსტრო-უნგრეთის მეფეთა და სახელმწიფოთა შორის მეგობრულის განწყობილობისა. ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ იმას, რომ ეს დარბაზობა უნგრეთის სატახტო ქალაქში მოხდება, რაიცა ნიშანია მონარქიის ორივე ნაწილის სრულის თანასწორობისა. უნგრეთის სატახტო ქალაქის მკვიდრნი თავის სიმპატიას უცხადებენ დიდს მთავარს და სიამოვნებით უძღვნიან მას სალამს თავიანთს წრეში“.

18 ოქტომბერს.

**ბერლინი**. პრუსსიის სასოფლო მეურნეობის კოლლეგიის მუდმივმა კომისიამ განაცხადა, თუ უმცირესი გადასახადი პურზე ექვსს მარკაზე ნაკლები დაწესდა, საბაჟო კანონპროექტი მთლად უარ-ყოფილი იქნებაო.

**ლონდონი**. კიტჩენერი იუწყება პრეტორიიდამ, ბალმორსის ჩრდილოეთით ვილიამსი შეჰხვდა მიულერის რაზმსო. 4 ბური მოკლულია, 54 ტყვედ; წამოყვანილი 36 „პოვოზკა“ ჩავიგდეთ ხელშიო.

**მანილლა**. ფილიპინელმა გენერალმა მალვარმა თავისი თავი მთავსარდლათ აღიარა.

**რომი**. ძლიერმა ტალღამ მესსინის მიდამოებში დიდი ზარალი მისცა ხალხს. ჯერჯერობით გამოირკვა, რომ 10 კაცი მომკვდარა და 11 დაშავებულა.

**ხარკოვი**. 17 ოქტომბერს 13 წლის შესრულების სამახსოვრო ამბის შემდეგ სადგურს ბორკასთან, სპასის ეკკლესიაში გადახდილ იქმნა წირვა სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთა, თავად-აზნაურობის და ქალაქის წარმომადგენელთა და დიდ-ძალის ხალხის თანადასწრებით. მწირველი ეპისკოპოსი ინნოკენტი; წირვის შემდეგ სამღვდელოება გაემართა რკინის გზისაკენ და იქ სამადლებელი პარაკლისი გადაიხადა.

**ლივერპული**. შავი ჭირის გაჩენის გამო ლივერპულში ათი კაცი გამოცალკევებული ჰყავთ.

**ფრეიბურგი**. ბურების ორი მოთავე სიკვდილით დაისაჯა, 18-ს მაღნებში მუშაობა გადაუწყვიტეს ხუთი წლის ვადიდამ მოყოლებული სამუდამომდე.

**ლონდონი**. წარსულს ღამეს ოლდერშოტში ბრძანება მიიღეს, რომ ადგილობრივი არტილერიის ბრიგადა ნოემბრის ნახევარზე მზად იყო სამხრეთ აფრიკაში გასამგზავრებლად.

**ლეიპციგი**. პროკურატურამ აკრძალა ლევ ნიკოლოზის ძის ტოლსტოის წიგნაკი „აზრი ცხოვრებისა“.

**ოდესსა**. 17 ოქტომბრის ამბის სამახსოვროდ სოფელ ოლშინში გადამარჩენი სადგური აკურთხეს.

---


## პატივცემულ ქართველ საზოგადოებას



გვაქვს პატივი ვაუწყოთ, რომ ამ დღეებში ჩვენმა სავაჭრო ფირმამ საზღვარ-გარეთიდგან მიიღო მრავალი ხელისა და ფეხის საკერავი მაშინა სხვა და-სხვა ფაბრიკებისაგან. ჩვენი სავაჭრო ფირმა პირიანად ჰყიდის სხვა-და-სხვა სისტემის მაშინებისა, ამასთან მყიდველს დაეთმობა მაშინა მომეტებული პროცენტით, ვიდრე სხვაგან სადმე ტფილისში რისთვისაც ყველა მაშინის შეძენის მსურველს ვთხოვთ მობძანდეს და დარწმუნდეს სინამდვილეში.

ფირმის წარმომადგენელნი: გიორგი ანდრიას ძე ლაზარაშვილი და დიმიტრი დავითის ძე ჯმუხაძე.

ადრესი: სიონის ქუჩა, მაისურაძის და ხოჯაფარუხოვის ქარვასლა, № მაღაზიისა 5. და 53.

ტელეგრამის ადრესი: ტფილისი, ლაზარევი და ჯემუხაძე, ტელეფონი 756.

(25—163—16)


---


# კ ო ნ კ უ რ ს ი

## კონსტანტინე იაკოფის ძის ზუბალაშვილის სახელობაზე ტფილისში განზრახულ სახალხო სახლის პროექტის შესადგენად.

სახალხო სახლის ამშენებელი კომიტეტი აცხადებს კონკურსს ტფილისში განზრახულ სახალხო სახლის აშენებისათვის პროექტის შესადგენად შემდეგ პირობებით:

1) სახალხო სახლის აგება განზრახულია მე-X ნაწილში, დიდ-მთავრისა და კიროჩნის ქუჩების კუთხეში, 563 ოთხ-კუთხ საჟენ ადგილზედ. ადგილი სწორია. ქუჩების სიგანე, ტროტუაროდ, 5 საჟ.; ტროტუარების სიგანე 2 არშინი. კიროჩნის ქუჩაზე ფასადის სიგრძე—23,82 საჟ., დიდ-მთავრის ქუჩაზე—23,6 საჟ., ადგილის გეგმა შეადგინა ქალაქის მიწის მზომელმა ლარიონოვმა.

2) სახალხო სახლი უნდა შეიცავდეს: ა) დარბაზს სათეატრო სცენით 600 კაცის მოსათავსებლად. სცენასთან უნდა იყოს ყველა საჭირო ოთახი, რომელთა მოთავსება სცენის ქვეშაც შეიძლება; ბ) ჩაის სასმელ დარბაზს 200 კაცისათვის; გ) სამკითხველოს 50 კაცისათვის და მასთან წიგნების საწყობსაც; დ) მოსამსახურეთა ოთახებს. ამასთანავე პროექტის შედგენის დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქმნას, რომ მომავალში სახლს მიემატება სასადილო ოთახი სამზარეულოთი.

3) სახლის ასაგებად კ. ი. ზუბალაშვილის მემკვიდრეებმა გადასდეს 70 ათასი მან. ფასადი უმთავრესის შესავალით პირდაპირ ქუჩაზე იქნება; მეორე ქუჩის ფასადი-კი ქუჩიდან ოთხ საჟენზე უნდა დაიწიოს, რათა წინ ბაღი გაშენდეს. სახალხო სახლისა და მეზობელ შენობათა საზღვრებს შორის დატოვებული უნდა იქმნას დაწესებულის სიგანის ადგილი ეტლების მოძრაობისათვის.

4) საუკეთესო პროექტების დასაჯილდოვებლად კ. ი. ზუბალაშვილის მემკვიდრეები აწესებენ ორ პრემიას: 500 და 300 მანათიანს. ეს პრემიები დაენიშნება განსაკუთრებულ ჟიურის დადგენილების თანახმად. ჟიურის წევრებად არ იქნებიან არც შემომწირველნი, არც სახალხო სახლის კომიტეტის წევრები. ჟიურის დადგენილება საბოლოო იქნება.

5) კონკურსი მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც არა ნაკლებ სამის პროექტისა იქნება წარდგენილი; ჟიურის უფლება აქვს არ შეიწყნაროს კონკურსი, თუ ყველა წარმოდგენილი პროექტი უვარგისად იცნო. ჟიურის ნება აქვს 1-ლი პრემია ორ ნაწილად გაჰყოს, თუ ვერც ერთს პროექტს ვერ იცნობს 1-ლ პრემიის ღირსად. ჟიურის წევრების ვინაობა გამოცხადდება შემდეგ, როდესაც ისინი დაინიშნებიან.

6) ყველა დაჯილდოვებული პროექტები კომიტეტის საკუთრება იქნება. არა დაჯილდოვებულ პროექტებს, თუ კომიტეტი მოისურვებს, შეიძენს მესაკუთრეებთან შეთანხმებით.

7) 1-ს დაჯილდოებულ პროექტის ავტორს, ან თუ მან უარი განაცხადა, მე-2 პროექტის ავტორს კომიტეტი დაავალებს საბოლოო პროექტის შედგენას; შემდგენელს ნება მიეცემა ისარგებლოს ყველა შეძენილ პროექტებით და ვალდებული იქნება შეასწოროს პროექტი კომიტეტის შენიშვნების თანახმად. ამ პროექტის შემდგენელს ჯილდოთ მიეცემა 70 ათას მანეთის 1%. შენობის აგების დროს ტეხნიკურ ზედამხედველობისათვის სპეციალისტს თვით ზუბალაშვილები დანიშნავენ, რომელნიც თავის თავზე იღებენ საქმის სამეურნეო და საფინანსო ნაწილს.

8) საესკიზო პროექტი უნდა იყოს შემდგარი: ფასადებსა და გეგმებიდან დაწესებულ მაშტაბის მიხედვით; პროექტთან ერთად უნდა იყოს მისი წერილობითი ახსნა და მოკლე ხარჯთ-აღრიცხვა.

9) კონკურსი მოხდება ქ. ტფილისში: ყველა პროექტი არა უგვიანეს 1902 წ. 2 თებერვლის შუადღის 12 საათისა უნდა წარედგინოს კომიტეტის წევრს თ. გიორგი მიხეილის ძე თუმანოვს (ბარიათინსკის ქუჩა, საკუთ. სახლი. ყველა გეგმა, ახსნა და ხარჯთ-აღრიცხვა გარკვევით უნდა იყოს აღნიშნული დევიზით ან ნიშნით. იმავე დევიზით ან ნიშნით აღნიშნული უნდა იყოს დაბეჭდილი კონვერტიც, რომელშიაც უნდა იყოს ავტორის სახელი და გვარი და დაწვრილებითი ადრესი.

10) პრემიები მიეცემა ავტორებს ორის კვირის ვადაზე იმ დღიდგან, რა დღესაც ჟიური კომიტეტს გამოუცხადებს თავის დადგენილებას.

11) ჟიურის უფლება აქვს თავის სხდომებზე მიიწვიოს ყველა ისინი, რომელთაც სასარგებლოდ სცნობს, მაგრამ მოწვეულთ მხოლოდ სათათბირო ხმა ექნებათ.

12) კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთ ადგილის გეგმის პირისა და სხვა ცნობების მიღება შეუძლიანთ თავ. გ. მ. თუმანოვისაგან.

13) არა დაჯილდოვებული პროექტები ავტორებს დაებრუნებათ კონვერტების გაუხსნელად, როდესაც წარმოადგენენ საფოსტო ან კომიტეტისაგან მიღებულ კვიტანციებს.

(3—უ—2)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 18-го Октября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.